პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 5 ივლისი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

149 (847) 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა
ელსმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## წიგნი და წითელი არმიელი.

დღეიდან იწყება „წიგნის კვირეული“!

წიგნის მნიშვნელობა წითელ ჯარში მეტად დიდია.

წიგნი ცოდნის და განათლების იარაღია.

წითელ არმიელი გულმოდგინებით უნდა დაეწაფოს წიგნს და შეეჩვიოს სისტემატიურად კითხვას.

ის რასაც მას ზეპირად გადასცემენ უფროსი ამხანაგები მეცადინეობის დროს, ყოველივე ამის განმტკიცება თავის მეხსიერებაში შეუძლია წიგნის საშუალებით.

წიგნი ხსნის საზოგადოებრივ თუ ბუნებრივ მოვლენებს, იძლევა სწორ პასუხს ყველა საინტერესო და საჭირბოროტო საკითხებზე.

ერთი სიტყვით წიგნს დიდი სარგებლობა შეუძლია მოუტანოს წითელ არმიელს: შესძინოს მას ცოდნა, აღამაღლოს ის კულტურულად და განავითაროს გონებრივად.

წიგნი უდიდესი მეგობარია წითელ არმიელის. მაგრამ არა ყოველთვის წითელ არმიელი არის წიგნის მეგობარი. ხშირად წითელ არმიელი გაურბის წიგნს, არ ესმის მისი დიადი მნიშვნელობა, ბევრ შემთხვევაში წითელ არმიელები პირდაპირ ჯალათურად ეპყრობიან წიგნს: ხევენ, თუთუნს ახვევენ შიგ და შეუბრალებლად ანადგურებენ.

განა დასაშვებია ასეთი მოპყრობა წიგნისადმი იმ წითელ არმიელის მიერ, რომელიც ისეთი უდიდესი საკაცობრიო იდეალისათვის იბრძვის, როგორც კომუნიზმია,—შრომის, თანასწორობის და გონების სამეფო.

ცხადია ასეთი მოპყრობა წიგნისადმი დაუშვებელია. წითელი არმიელიც უნდა გახდეს წიგნის საუკეთესო მეგობარი. მან უნდა შეიგნოს წიგნის დიადი მნიშვნელობა და მასთან ისე უნდა მოეპყრას მას, როგორც ეს მოეთხოვება სოციალისტური სახელმწიფოს მოქალაქეს.

არა თუ თვითონ დაეწაფოს წიგნს, არამედ სხვებიც მიიზიდოს წიგნისაკენ და საზოგადოთ სამკითხველო—ბიბლიოთეკებისაკენ. თითეული მოწინავე წითელ არმიელმა უნდა შეაგნებინოს თავის ჩამორჩენილ ამხანაგს წიგნის მნიშვნელობა და თავისი მაგალითით შეაყვაროს ის მას.

ამ მიზნით ტარდება „წიგნის კვირეულიც“.

ამ კვირეულმა ყველა წითელ არმიელები უნდა დაუმეგობროს წიგნებს და გახადოს ისინი ნაწილის სამკითხველო-ბიბლიოთეკის აქტიურ წევრებად. ამ ამოცანის შესრულება პირველ ყოვლისა თვით წითელ არმიელებისაგან არის დამოკიდებული. და ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ რომ ჩვენი მოლაშქრეები ამას ბრწყინვალედ გაატარებენ.

ე. ი. ყველა ისინი გახდებიან წიგნის და ბიბლიოთეკის კარგი მეგობრები!

წითელ არმიელო დაეწაფე წიგნს, მოუფრთხილდი მას, შეაყვარე ის სხვებსაც!

## აუცილებელია ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის მოგვარება.

### ინგლისის პრესა ჩიჩერინის განცხადების შესახებ.

გაზეთების უმეტესობა არ განმარტავს ჩიჩერინის განცხადებას პრესის წარმომადგენლებთან.

ლებერალების გაზეთი ამბობს, რომ ეს განცხადება შერიგებითი ტონით თავდება და გზა იხსნება შემდეგი მოლაპარაკებისათვის. გაზეთი აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხელისუფლება მიისწრაფვის ყველა სადაო საკითხების მოგვარებისაკენ, მათ რიცხვში ვალების საკითხებისაცო.

ლიბერალების მეორე გაზეთიც აღნიშნავს ინგლისსა და საბჭოთა კავშირის შორის კარგი განწყობილების აუცილებლობას და დასასრულ ამბობს, რომ ამ ქვეყნების ურთიერთობა იმით არ გაუმჯობესდება, თუ რომ ორივე მთავრობათა გამოჩენილი წევრები საჯაროდ დაუწყებენ ერთმანეთს გინებასო.

# ახალი რადიო-ამბები

## აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზა კარგ მდგომარეობაშია.

გენერალური კონსული ხარბინში და აღმ. ჩინეთ. რკ. გზის სამმართველოს თავმჯდომარის ამხანაგი გრანტი ჩავიდა მოსკოვში გზათა კომისართან გზის მდგომარეობის შესახებ მოხსენების გასაკეთებლად.

როსტას წარმომადგენელთან საუბარში გრანტმა განაცხადა: „ეხლა, კონფლიქტი აღმოსავლეთ ჩინეთის რკ. გზაზე უნდა ჩაითვალოს დასამთავრებლად.

დაბრკოლებანი, რომელსაც ხელს უწყობდა მოწინააღმდეგეთა პრესა ძლეულ იქნა. გზის ფინანსიური მდგომარეობა მშვენიერია.

ერთ დროს გზის სამმართველო დავალიანდა 10 მილ. მანეთით, მაგრამ ეხლა გზას აქვს მოგება 6 მილ. მანეთი. ამ გვარად ახალ მართველობამ ათი თვის განმავლობაში მოგვცა 15 მილ. მანეთი, რაც უნდა ჩაითვალოს დიდ მიღწევად.

გზის მუშა—მოსამსახურეებმა შეკრიბეს შანხაის მუშებისათვის 2000მან. ყველგან ხდება საპროტესტო კრებები იმპერიალისტების პოლიტიკის წინააღმდეგ ჩინეთში.

## პოლონეთის ჯაშუშების საქმე.

ბელორუსიის უზენაესმა სასამართლომ დაიწყო ჯაშუშთა გასამართლება, რომლებიც აწოდებდენ საიდუმლო ცნობებს პოლონეთს.

ბრალდებულის სკამზე სხედან: პეტრე გარჩაკი, ვიქტორია დომინიკი და კოვრიგო. გარჩაკს დაპატიმრების დროს ჯიბეში აღმოაჩნდა საიდუმლო მიმოწერა, თითქოს მინსკში სდგება რაზმები პოლონეთის ტერიტორიაზე თავდასასხმელად და სხვა.

გარჩაკი გამოტყდა დანაშაულში და გასცა მონაწილენი.

დანარჩენი ბრალდებულები თავს დამნაშავედ არ სცნობენ.

## საფრანგეთ-ესპანეთის კონფერენცია.

გენერლებმა ჟორდანამ, მალვიმ, ცერეტტიმ, დელა-როკამა და საფრანგეთ-ესპანეთის სხვა დელეგატებმა განიხილეს პირველ ივლისს კონფერენციის დღის წესრიგში მდგარი საკითხები. მეორე სხდომა მოხდა 5 ივლისს.

ჟორდანამ პრესის წარმომადგენლებთან განაცხადა, რომ მოლაპარაკება წარმატებით სწარმოებს.

## ეთილ სასურველი ნეიტრალიტეტი.

ფიქრობენ, რომ ინგლისის მთავრობა თავის პასუხში მაროკოს შესახებ განაცხადებს, რომ ინგლისი იცავს და დაიცავს საფრანგეთის მიმართ ნეიტრალიტეტს. ინგლისი საფრანგეთის და ესპანეთის საზღვაო მოდარაჯე გემებს ისე მოექცევა, როგორც ამერიკა ექცევა იარაღით ვაჭრობის კონტრაბანდას.

## კომუნისტებს ერთმევა სიტყვის თავისუფლება... მენშევიკების კრებებზე.

ბერლინის რაიონის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის პრეზიდიუმი ოფიციალურად აცხადებს, რომ მომავალში კომუნისტურ პარტიებს წაერთმევათ სიტყვის თავისუფლება სოციალ-დემოკრატების კრებებზე.

## მაროკოს ამბების გარშემო.

მაროკოში მალე დაიწყება ახალი შეტევა.

ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ ტანჟერიდან მიღებულ ცნობის თანახმად შეიძლება ვიფიქროთ, რომ საერთო შეტევა ფრონტებზე ახლო დროში დაიწყებაო. იტყობინებიან, რომ შეშუანში თავს იყრის რიფების დიდძალი რაზმები.

## ჯალათთა სამეფოში.

### ბულგარეთის სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა 11 კაცს.

ქალაქ სლივენაში (ბულგარეთში) სამხედრო საველე სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა დმიტროვს, ბრატევს, კარნოლოტნიევს, მინჩევს, მალინოვს და გეორგიევს.

ფილიპპოპოლის სამხედრო საველე სასამართლომ სიკვდილი მიუსაჯა დრაგოიჩევს, მიხაილოვს, ტოდორავს, მილევს, ცვეტანოვს და სამუდამო ციხე-დმიტროვს.

ყველა ამათ ბრალად ედებათ არალეგალურ კომუნისტურ პარტიაში მონაწილეობა.

ორშაბათს, 6 ივლისს, საღამოს სრულ 6 საათზე, მოწვეულია ტფილისის საბჭოს შემდეგი სექციების მორიგი სხდომა.

1) კომუნალური (წითელი თეატრი).

**დღის წესრიგი:**

1) მოხსენება ელექტრონის მომწესრიგებელ სამმართველოს (ე. მ. ს.—ის) შესახებ.
2) მიმდინარე საკითხები.

2) საფინანსო (აღმასკ. შენ. ოთახი № 17).

**დღის წესრიგი:**

1) უძრავ ქონებათა („უ. ქ. ს.“-ს)სა ინფორმაციო მოხსენება დარაბების ექსპლოატაციის შესახებ 1925—26 საბიუჯეტო წლისათვის.
2) მიმდინარე საკითხები.

3) განათლების (აღმასკ. შენ. ოთახი № 32).

**დღის წესრიგი:**

1) ბიუროს მოხსენება დამხმარე საბჭოთა კონფერენციის შესახებ.
2) სკოლის შენობათა შეკეთების საკითხი.
3) სკოლის შენობათა განთავისუფლების შესახებ კერძო პირთაგან.
4) მოხსენება მასწავლებელთა გადასამზადებელ კურსების შესახებ.
5) მიმდინარე საკითხები.

4) ჯანმრთელობის (აღმასკ. შენ. ოთახი № 37).

**დღის წესრიგი:**

1) ვენეროლოგიური და ტუბერკ. დისპანსერის შესახებ.
2) ტუბერკულიოზის სამ-დღიურის ჩატარების ანგარიში ტფილისში.
3) მიმდინარე საკითხები.

5) სოფლად მუშაობის და საბჭოთა აღმშენებლობის (აღმასკ. შენ. ოთახი № 66.)

**დღის წესრიგი:**

1) მოხსენება მიწათ-მოწყობის შესახებ.
2) აგრო-დახმარების და სამეურნეო იარაღების შესახებ.
3) მიმდინარე საკითხები.

სექციებში ჩაწერილ ყველა წევრთა გამოცხადება სავალდებულოა აღნიშნულ დროზე.

პრეზიდიუმი.

# ᲫᲕᲔᲚ, ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲩᲐᲒᲕᲠᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ ᲛᲣᲨᲔᲑᲘ ᲣᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠᲔᲑᲔᲜ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲗᲐ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲐᲪ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲥᲕᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲩᲐᲒᲕᲠᲐᲡ.

ვ. ი. ლენინი.

## ᲫᲛᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲭᲘᲓᲠᲝ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲓᲦᲔ.

ექვსი ივლისი ისტორიული დღეა საბჭოთა კავშირის მშრომელი ხალხის ცხოვრებაში. ამ დღეს დამტკიცებულ იქმნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია და მით სამუდამოთ მტკიცე საძირკველი ჩაეყარა საბჭოთა კავშირში ყველა შემავალ ერების ძმობას, ერთობას და თანასწორობას.

საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შექმნა ეს უდიდესი მიღწევაა ოქტომბრის რევოლიუციის. დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე, იქ სადაც მეფის და ბურჟუაზიის ბატონობის ჟამს ერთი ერის მყვლეფელთა კლასი სტანჯავდა დანარჩენ მრავალ ერებს და მათ შორის საშინელი ეროვნული მტრობა და სიძულვილი სუფევდა, დღეს მუშების და გლეხების ბატონობის დროს მოსპობილია ყოველივე ჩაგვრა და ამ ერებს შორის დამყარებულია სრული სოლიდარობა, თანხმობა და ძმური კავშირი. და ეს მოხდა ოქტომბრის რევოლიუციის წყალობით. მან კაპიტალიზმის ბრჭყალებისაგან მუშათა კლასთან ერთად იხსნა ჩაგრული ერონვებები. ამასთანავე ოქტომბრის რევოლიუციამ თანასწორ უფლებიანობის და ძმობის საფუძვლებზე გააერთიანა ყველა ეს ერები ერთ მთლიან განუყოფელ ოჯახში, რომელსაც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი ეწოდება. განთავისუფლებულ ერების მშრომელ მასებმა შეიგნეს, რომ მოპოებული თავისუფლების და დამოუკიდებლობის შენარჩუნება შეიძლება მხოლოდ ერთმანეთთან მჭიდრო კავშირით და მეგობრობით.

მათ შეიგნეს, რომ ცალ-ცალკე ისინი სოციალიზმს ვერ დაამყარებენ, ხოლო მსოფლიო ბურჟუაზია—მათი საერთო მტერი, მათ ადვილად დაამარცხებს. საერთო ძალით და ერთმანეთში მტკიცე კავშირით კი საბჭოთა რესპუბლიკები მიაღწევენ თავის საბოლოო მიზანს და მოიგერიებენ მტერს. აი ამ ისტორიულ აუცილებლობამ დაბადა სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი, რომლის კონსტიტუცია მიღებულ იქმნა 1923 წ. ექვს ივლისს მეორე საკავშირო საბჭოების ყრილობაზე.

საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია თავიდან ბოლომდი აშენებულია ძმობის, თანასწორობის და ნებაყოფლობის საფუძვლებზე. თითეული ერი, რომელიც შედის საბჭოთა კავშირში, სავსებით უზრუნველყოფილია თავისუფლებით და დამოუკიდებლობით, უზრუნველყოფილია აგრეთვე მისი მეურნეობის და კულტურის ყოველ-ხრივ განვითარება და გაფურჩქვნა.

საბჭოთა რესპუბლიკები ამ კონსტიტუციის თანახმად სარგებლობენ თანასწორი უფლებებით.

ამრიგად საბჭოთა კავშირი არის ერთად ერთი სახელმწიფო, სადაც მოსახლე ერები აღჭურვილი არიან თანასწორ უფლებებით და ძმურად შეკავშირებული ანხორციელებენ სოციალიზმის საქმეს.

მუშურ-გლეხური წითელი არმია მუდამ მხნედ იქნება საბჭოთა კავშირის და მისი დიდი კონსტიტუციის სადარაჯოზე.

გაუმარჯოს საბჭოთა კონსტიტუციას!

გაუმარჯოს მსოფლიო საბჭოთა კავშირს!

ვნული ძალდატანებისა და ჩაგვრისადმი და ის განსაკუთრებით უსვამს ხაზს, რომ ეროვნულ საკითხის გადაჭრაში დიდ როლს თამაშობს ხალხთა ფსიქოლოგია, რომლის შეცვლა არც ისე ადვილია და რომელსაც უნდა შეეწყო და შეეგუო. ეს აზრი ზოგიერთს დღემდისაც ვერ შეუთვისებია საკმაოდ და კიდევ დიდხანს მოგვიხდება მისი პოპულიარიზაცია, როგორც ლენინის ერთ-ერთ ამოცანისა ეროვნულ საკითხში.

ლენინის ეროვნულმა პოლიტიკამ, რომელიც ტარდება კომუნისტური პარტიის მიერ, დიდი შედეგები მოგვცა ჩვენ. მიუხედავად ჩვენი კავშირის ჯერიცხვ ერთა შორის არსებულ მრავალი განსხვავებისა (რელიგიურად, კულტურულად, ეკონომიურად და სხვა), ჩვენ მტკიცედ შევკავშირდით ერთ ძმურ ოჯახში.

რევოლიუციონურ ფრონტებზე, ექსპლოატაციისა და ჩაგვრის წინააღმდეგ სამოქალაქო ომში, საერთო მტრის წინააღმდეგ ხელი-ხელ ჩაკიდებულმა კავშირის ერებმა, დასტოვეს ერთხელ და სამუდამოდ ძველი ეროვნული ქიშპობა და შუღლი.

ლენინიზმის საფუძველზე აგებული ხალხთა კავშირი გიგანტური ნაბიჯით მიდის ინტერნაციონალიზმისაკენ, აძლევს ყოველ ერს საშუალებას განავითაროს თავისი კულტურა, აღსდგეს ახალი ცხოვრებისათვის და შევიდეს ხალხთა ოჯახში, რომლებიც აშენებენ ახალ ძმურ ქვეყანას, სადაც ადგილი არ ექნება ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას, ძლიერის მიერ სუსტის ჩაგვრას.

აქეთ მოგვიწოდებდა ჩვენ ამხ. ლენინი.—თუ როგორ მივიდეთ აქამდი ადრე,—ამის შესახებ ჩვენ გვასწავლის მისი მოძღვრება ეროვნულ საკითხში.

ს. დი—ნ.

## 6 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘᲐ.

6 ივლისი საბჭოთა კონსტიტუციის დამტკიცების დღეა. რევოლიუციის მიერ წარმოშობილი რევოლიუციონური დღესასწაული უწინარეს ყოვლისა წარმოადგენს რევოლიუციონურ-ეროვნულ დღესასწაულს

ამ დღესასწაულის მთავარი აზრი ისაა, რომ 6 ივლისს აღნიშნულ უნდა იქნას რევოლიუციის დიდი მიღწევა, რომელიც ჩვენ გვაქვს ჩვენს საბჭოთა კავშირში და რაიც გამოიხატება ჩვენი მრავალ რიცხოვან ეროვნებათა კეთილი, ძმური ცხოვრების მოწყობაში, ერთ მტკიცედ შეკავშირებულ ოჯახის ჩამოყალიბებაში.

ყველა რევოლიუციონური წითელ ფრონტებზე ყველა ეროვნებათა მშრომლები, პროლეტარულ არმიასთან ხელი-ხელ ჩაკიდებული, იარაღით ხელში, თავდადებით მიდიოდენ და იცავდენ პირველ პროლეტარულ რევოლიუციას მსოფლიოში. თავისი სისხლით, რევოლიუციისათვის თავისი მხურვალე თავდადებით, სამოქალაქო ომის ცეცხლში საერთო დამარცხებებითა და გამარჯვებებით ეროვნებებმა დაამყარეს თავიანთი კავშირი.

საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირი ერთადერთი კუნძულია მთელს ქვეყნიერებაზე, სადაც მშრომელები თავისი ბედიღბალის, თავისი ქვეყნის ბატონ-პატრონნია, სადაც ძალაუფლება მშრომელთა ხელშია და ნებას არ აძლევენ მყვლეფელ კლასის მუქთახორებს იბატონონ მათზე.

ჩვენ ვიცით და კარგად გვახსოვს, თუ რა გაუმაძღარი ტურები გვახვევია გარს. მთელი მსოფლიო მტაცებელი კაპიტალი სდგას ჩვენს წინააღმდეგ ვეშაპივით პირდაღებული და მზადაა შთაგვნთქას, დაგვგლიჯოს, დაგვასახიჩროს, რომ ჩვენი ნაშთიც არ დარჩეს, რომ მხოლოდ საშინელი მოგონება დარჩეს ჩვენზე. ჩვენ კარგად ვიცნობთ გაბატონებულ კლასების ზნეობას. ჩვენ არ დაგვვიწყებია პარიზის კომუნის ჩახშობის დროს ბურჟუაზიის სიმხეცე. ჩვენს თვალწინ სწარმოებს დღეს სისხლიანი ორგიები ბულგარეთში და ესტონეთში. ყველგან, სადაც კი გამოჩნდება რევოლიუციის დაწყებითი ალი, ბურჟუაზია აქრობს მას მშრომელთა სისხლის ნიაღვარით.

ვიმყოფებით რა ასე გარშემორტყმული ჩვენს კუნძულზე, შურისძიებისა და სიძულვილის აბობოქრებულ ზღვისტალღებს შორის, ჩვენ თანდათან მჭიდროვდებით ყველა ეროვნებათა მტკიცე კავშირში, ვინაიდან ვიცით, რომ ჩვენი ძლიერება მხოლოდ რევოლიუციონურ სოლიდარობაშია. ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ უახლოესი მომავალი ჩვენია. ჩვენი მტრები—როგორც ხავსჩასჭიდებიან დღევანდელ დღეს, მაგრამ ისინი წარსულის ნაშთია და წარსულთან ერთად ისინიც გაჰქრებიან.

მშრომელთა კავშირი თანდათან განმტკიცდება, ხოლო კაპიტალისტური ქვეყანა უფრო და უფრო გაიხრწნება. მას შეუძლია მხოლოდ გაახანგრძლივოს თავისი დაღუპვა, მაგრამ არ შეუძლია მას გაექცეს, ვინაიდან ასე ლაპარაკობს ეკონომიური განვითარება და გაყვლეფილ მასების რევოლიუციონერობის ზრდა.

1923 წლის 6 ივლისს ცაკის სესიის მიერ დამტკიცებული საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია ემყარება ხალხთა რევოლიუციონურ სოლიდარობას, რომლის ნიადაგზე აიგება ახალი ცხოვრება, სადაც ადგილი არ ექნება ძლიერის მიერ სუსტის ჩაგვრას, როგორც კერძო ადამიანებს, ისე ხალხთა შორის. მხოლოდ ლენინიზმის საფუძვლებზე შესაძლებელი გახდა მთელი ჩვენი კავშირის სხვადასხვა ხალხების ერთ მთლიან კავშირში გაერთიანება.

ყოველმა ხალხმა მიიღო შესაძლებლობა თავიდან მოეშორებიათ ძველი ეროვნული უღლის სიმძიმე და აღმსდგარიყო ახალი, აღორძინებული ეროვნული ცხოვრებისათვის.

ყოველი ეროვნება ვითარდება; მთელი მისი ენერგია, რომელიც საუკუნეობით ჩახშული იყო ძალმომრეობით დღეს ზეიმობს. ასეთია რევოლიუციის დიადი ძალა.

6 ივლისი—ეროვნული დღესასწაულია, რომელსაც მიჰყავს ის ინტერნაციონალიზმის გამარჯვებისაკენ.

ს. დ—ნ.

## ᲚᲔᲜᲘᲜᲘ ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲘᲡ ᲩᲐᲛᲧᲠᲔᲚᲘᲐ.

ამხ. ლენინი დიდად დაინტერესებული იყო მუდამ ეროვნული საკითხით თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის დაწყებამდე. ჯერ კიდევ 1894 წელში, თავის პირველ წიგნში—„ვინ არის ხალხის მეგობრები", ის შეეხო ეროვნულ საკითხს, შემდეგ პარტიის მე-2 ყრილობაზე 1903 წელში ის გამოდიოდა ამ საკითხში. მეტად მხურვალე წერილით გამოეხმაურა ამხ. ლენინი მეფის მთავრობის მიერ კიშინევში მოწყობილ ებრაელთა დარბევას, რომლითაც მეფეს სურდა ჩაეხშო რევოლიუციის პირველი ტალღა.

ამხ. ლენინმა პირველმა აღნიშნა აღმოსავლეთის დიდი მნიშვნელობა რევოლიუციისთვის წერილში—„მოწინავე აზია და ჩამორჩენილი ევროპა". იმ დროს უცნაური გეჩვენებოდა ასეთი აზრი აზიაზე ევროპასთან შედარებით, ხოლო დღეს, როცა ჩვენ მოწამენი ვართ მაროკოს ომის, სიკვდილით დასჯის ეგვიპტეში და სხვა, აღმოსავლეთის მნიშვნელობა ყველასათვის ცხადია.

მისი რევოლიუციონერობა აშკარაა; მაშასადამე ის უფრო მოწინავეა, ვიდრე დასავლეთის კაპიტალისტური ქვეყნები.

ამხ. ლენინს ღრმად სძულდა რუსიფიკატორული პოლიტიკა.

ის ერთ წერილში კავკასიის ერთ გამოჩენილ მუშაკის ამხ. შაუმიანისადმი, რომელიც დაიღუპა 26 კომისართა შორის ბაქოში მენშევიკებისა და ესერების ხელით,—სწერდა: „განა სახელმწიფო ენა არ ნიშნავს იმ ჯოხს, რომელიც აშორებს რუსული ენისაგან?! რატომ არ გინდათ გაიგოთ ის ფსიქოლოგია, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ეროვნულ საკითხში და რომელიც მცირეოდენ ძალდატანების გამო აძახიბჯებს, აფუჭებს და სრულიად სპობს დიდი სახელმწიფოების ერთიანი ენის ცენტრალიზაციის უდავო პროგრესიულ მნიშვნელობას?!... ნუთუ საძაგელი „პოლიცეიჩინის" ჩამოშორება არ გააათკეცებს (გააათასკეცებს) რუსული ენის დაცვისა და გავრცელების თავისუფალ კავშირებს?!!".

აქედან ნათლად სჩანს ლენინის მთელი სიძულვილი ერო-

## ᲠᲝᲒᲝᲠᲐᲐ ᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ.

### 1. რატომაა შექმნილი კავშირი?

საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი შექმნილია შეთანხმების საფუძველზე, რომელიც დადებულ იქნა რსფსრ-ს, უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკას, ბელორუსიის საბჭოთა რესპუბლიკასა და ამიერკავკასიის ფედერაციას შორის და რომელიც დაამტკიცა საბჭოთა პირველმა ყრილობამ 1922 წლის 30 დეკემბერს. 1923 წლის 6 ივლისს საბჭოთა მეორე ყრილობაზე მიღებულ იქნა კავშირის კონსტიტუცია.

რა არის კავშირის შექმნის მთავარი მიზნები? ამაზე ლაპარაკობს საბჭოთა კავშირის დეკლარაცია:

„ომის წლებმა დაანგრია მეურნეობა. სახალხო მეურნეობის აღდგენა შეუძლებელი იქნება რესპუბლიკების ცალკ-ცალკე არსებობით.

მეორეს მხრივ საერთაშორისო მდგომარეობის რყევა და ახალი თავდასხმის საშიშროება აუცილებელს ხდის შეიქმნას საბჭოთა რესპუბლიკების ერთიანი ფრონტი კაპიტალისტურ რკალის წინააღმდეგ."

მაგრამ მარტო ეს არ ყოფილა ძირითადი მიზეზები კავშირის შექმნისთვის. დეკლარაციაში ნათქვამია: „თვით საბჭოთა ძალაუფლების მშენებლობა, თავისი კლასობრივი ბუნებით ინტერნაციონალური უკარნახებს საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელთა მასებს გაერთიანდენ ერთ სოციალისტურ ოჯახში." ამ სიტყვებში ნაჩვენებია კავშირის შექმნის მთავარი მიზეზები. მშრომელთა კლასობრივი ინტერესების წინააღმდეგობა ერთის მხრივ და ბურჟუაზიული სახელმწიფოების—მეორეს მხრივ, შეიქნა კავშირის წარმოშობის ძირითადი ფაქტორი,

დეკლარაციაში ნათქვამია: „კავშირში შესვლა შეუძლია ყველა სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკებს, როგორც უკვე არსებულთ, ისე იმათაც, რომლებიც, შეიძლება, მომავალშიც წარმოიშვან...

პირველ ყოვლისა კავშირი შეიქმნა თანასწორ უფლებიან ხალხთა ნებაყოფლობითი გაერთიანების საფუძვლებზე."

ეს ნებაყოფლობითი გაერთიანება დამტკიცებულია უფლებით, რომლის ძალითაც თვითეულ რესპუბლიკას თავისუფლად შეუძლია გამოსვლა კავშირიდან, თუ კი ის ამას ოდესმე მოისურვებს."

ამ პრინციპებით დიდად განსხვავდება ჩვენი კავშირი ბურჟუაზიული ტიპის სახელმწიფოებრივი გაერთიანებებისაგან, რომლებიც აგებულია ყოველთვის ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის დამორჩილებასა და ძალმომრეობაზე.

### 2. საერთო საკავშირო და ადგილობრივი საქმეები.

საკავშირო ორგანოების საერთო მომენტები ის მომენტებია, როცა კავშირის მშრომელებს რაიმე ურთიერთობა მოუხდებათ ბურჟუაზიულ სახელმწიფოსთან: პოლიტიკური ან სხვა ხელშეკრულების დადება სხვა სახელმწიფოსთან; კავშირის გარეშე საზღვრების შეცვლა და სხვა. ამას გარდა საკავშირო ორგანოები განაგებენ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა და სხვა, დარგებს, რომლებიც არ შეიძლება არ იყოს ერთიანი ყველა რესპუბლიკებისათვის. აქ შედის შეიარაღებულ ძალთა ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა ტრანსპორტის, ფოსტა-ტელეგრაფის, გზებისა და სხვა იმდენად, რამდენადაც ცალკე რესპუბლიკებს ასეთების მოწყობა გაუჭირდებათ და რამდენადაც აუცილებელია ქვეყნის მეურნეობისა და საწარმოო ძალთა ჩქარი ტემპით განვითარება. აქავე შედის ერთიანი ფულისა და საკრედიტო სისტემის შემოღება და მრავალი სხვა.

საბჭოთა კავშირის ერთიანი სახელმწიფოს ბიუჯეტი, ე. ი. მთელი კავშირის შემოსავალ-გასავლის წარმოება გადაცემული აქვთ კავშირის ორგანოებს. აქვე უნდა დაწესონ საერთო საკავშირო გადასახადები და ბეგარა.

მაგრამ ამ ბიუჯეტის გვერდით არსებობს საკავშირო რესპუბლიკების ბიუჯეტები, რომლებიც შედიან საერთო—საკავშირო ბიუჯეტში როგორც შემადგენელი ნაწილი და ამ ბიუჯეტებს განაგებენ თვით რესპუბლიკები, ანაწილებენ იქ შემოსავალ-გასავალს, ჰკრებენ გადასახადებს და სხვა.

სახალხო მეურნეობის ამ დარგებს გარდა, დანარჩენ დარგებს განაგებენ რესპუბლიკები დამოუკიდებლად: აქ შედის საკითხები სახალხო განათლების, სასამართლოს ორგანიზაციის და წარმოების, სამოქალაქო უფლებათა კანონის შესახებ და სხვა.

ნ. კ—კო.

# კულტ-განმანათლებელი მუშაობა ცვალებადელთა შორის.

## ჩვენი საქმიანობა.

მეხუთე ლეგიონის სამხკომი ამხ. უგულავა ეწვია № ქალა-ში მდგომ მესამე ათასეულს, ნაწილის საერთო მუშაობის დათვალიერებლათ. ამხ. უგულავას მოსვლისთანავე მოწვეულ ქნა ჩვენი ათასეულის ძირითადი წითელ არმიელთა და ცვაებადელთა გაერთიანებული კრება, რომელზედაც ამხ. უგლავამ გააკეთა მოხსენება ტერსისტემის ამოცანებზე.

მოხსენება იყო გასაგები ენით და შინაარსიანი, რამაც ამსწრეებზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

მოხსენების გარშემო მრავალი შეკითხვების შემდეგ გაოტანილ იქნა რეზოლიუცია, სადაც ნათქვამია, რომ ათასელის წითელი არმიელები და ცვალებადელები ყოველმხივ ეცდებიან წარმატებით გატარონ ტერ შეკრება.

სამხკორი წიწაკა.

## ულტურული მუშაობა ჩვენთან.

მეორე არტლეგიონის საგაუბიცო ბატარეიაში ახალწვეულ ტერ-არმიელებთან უკვე დაწყებულია დიდი კულტურუი მუშაობა. უკვე მოწყობილია დრამატიული და სპორტიული ჯგუფები, წერა-კითხვის სალიკვიდაციო სკოლები, წიგნთსაცავმკითხველოები და სხ.

ახალწვეულები დიდ აქტივობას იჩენენ ყოველგვარ მუშაობაში და ძლიერ დაინტერესებული არიან რაც შეიძლება ტი ცოდნა შეიძინონ.

სამხკორი ნავრუზაშვილი.

## მადლობა ასეთ ექიმს.

მეხუთე ლეგიონის მესამე ათასეულში არ ჩატარებულა ანიტ-საათები.

პირველ ხანებში ჩვენი ათაულის წითელ არმიელები ესრებოდენ ჩვენთან ახლოს მდგმ მეორე ლეგიონის მეორე ათასეულის სანიტ-საათებს. მარამ მაისის პირველ რიცხვებში ეს ათასეული გავიდა საბაკოთ და ამის შემდეგ ჩვენან სანიტ-საათების ჩატარებიათვის არავის არ უფიქრია. ჩვენს ათასეულს ექიმი არც ლია და არცა ყავს.

ამ ბოლო ხანებში, როგორც ქნა ისევ გვეღირსა სანიტ-საათები, რომელსაც ატარებს სამოქალაქო ექიმი ასათიანი.

ყოველ საუბრის თემა არის გასაგები და ძლიერ შინაარსიანი, რაც დიდ ინტერესს იწვევს დამსწრე წითელ არმიელებში.

ჩვენ აქ ვსწავლობთ, თუ როგორი მნიშვნელობა აქვს სისუფთავის დაცვას, როგორ უნდა ვერიდოთ და თავი დავაღწიოთ სხვა და სხვა ავათმყოფობას და სხ.

დიდი მადლობის ღირსია ექიმი, ასათიანი, რომელიც დაუზარებლათ ატარებს ჩვენთან სანიტ-საათებს და გვაცნობს ჰიგიენის საფუძვლებთან.

სამხკორი წიწაკა.

## ჩვენს მეზობელ რესპუბლიკაში.

ტერ-შეკრება ზანგეზურის მაზრაში სასურველად დამთავრდა.

ზანგეზურის მაზრა (სომხეთ-ში) ყოველმხრივ ძლიერ ჩამორჩენილი მაზრაა, რომელიც ამოდენიმე ასეული ვერსითაა აშორებული რკინის გზებს.

დღეს საბჭოთა ხელისუფლეა ყოველგვარ ზომებს ხმარობს მ მხარის მცხოვრებთა გასაათლებლათ.

14 ივნისს ხსენებულ მაზაში პირველად ჩატარდა ტერ-ეკრება, რომლის შედეგებმა ოლოდინს გადააჭარბა. ჯერ იდევ დანიშნულ დღემდე გაოცხადდა ცვალებადელების ითქმის 100 პროც., რომლეიც დაბადებულნი არიან 1902 ელში.

ახალგაზრდა ტერ-არმიელეი გამოიყურებიან მამაცურად და შეგნებულად იხდიან თარიანთ მოვალეობას საბჭოთა ელისუფლების წინაშე.

ცვალებადელებთან ლაპარაის დროს გაიგონებთ: „ჩვენ კარგათ ვიცით, თუ რატომ ავიწვევს საბჭოთა ხელისუფლება წითელ არმიის რიგებში რამოდენიმე ხნის ვადით.

აქ ჩვენ შევისწავლით კარგათ შაშხანის ხმარებას, რომ რაიმე საფრთხის დროს მედგრად დავიცვათ საბჭოთა ხელისუფლება.

ჩვენთაგანმა ვინც არ იცის წერა-კითხვა, ამასაც მალე შეისწავლიან.

აქ ჩვენ ამასთანავე ერთად შევიძენთ პოლიტიკურ ცოდნას.

გავეცნობით თუ როგორ ცხოვრობენ ჩვენი ძმები— მშრომელები მოსაზღვრე საბჭოთა რესპუბლიკებში და შორეულ ქვეყნებში და სხ."

აი როგორ მსჯელობს ყოველი ტერ-არმიელი.

ამნაირ პირობებში ტერ-შეკრების საქმის წარმატებით დამთავრება უზრუნველყოფილად უნდა ჩავთვალოთ.

საჭიროა აქვე აღინიშნოს ის გულდადებითი და სერიოზული მოპყრობა საქმისადმი, რომელიც გამოიჩინა ტერ-შეკრების დროს სომხურმა ლეგიონმა, ადგილობრივმა ხელისუფლებამ, სამხედრო კომისარიატმა და სხ.

ტერ-არმიელებისათვის უკვე მზათ იყო ბინა, რომელშიდაც მოწყობილი იყო ახალი საწოლები, ლენინის კითხვები, წიგნთსაცავ სამკითხველო, კარგი სასადილო სამზარეულოთი, ახალი აბანო და სხ.

ს. შაკუნი.

## ბრძანებას შესრულება უნდა.

(1-ლი ლეგიონი.)

უმაღლესი ორგანოების მიერ იყო გამოცემული ბრძანება ნაწილების მიმართ, რომ უკანასკნელებს ყოველგვარი საქონელი და საჭირო ნივთები ყოველთვის შეეძინათ კოოპერატიულ დაწესებულებებიდან და თუ კოოპერატივებში ასეთები არ აღმოჩნდება მაშინ მიემართათ კერძო ვაჭრებისათვის. ამ ბრძანებას ჩვენს ნაწილში არავინ არ ასრულებს.

მაგალითი აქვე შეგვიძლია მოვიყვანოთ: ჩვენი ნაწილის მებინადრეს ხშირად უხდება სხვა და სხვა ნივთების ყიდვა და ასეთებს ის ყოველთვის ყიდულობს კერძო მოვაჭრეებისაგან, რომლის მსგავსი საქონელი კოოპერატივებშიდაც მოიპოება და ფასიც რასაკვირველია უფრო ნაკლებია აქ კერძო ვაჭართან შედარებით.

ამხ. მებინადრემ ამასთანავე ერთად კარგათ უნდა შეიგნოს თუ რა მიზნებს ემსახურება ჩვენი კოოპერაცია, და ერთხელ და სამუდამოთ უნდა ჩამოცილდეს კერძო ვაჭრებს.

საჭიროა ეხლა მაინც მიაქციონ ყურადღება ამ მოვლენას და ჩვენი ნაწილისათვის საჭირო საქონელი შეიძინონ ყოველთვის კოოპერატივებიდან.

სამხკორი პ. შ.

## ჩვენც ჩავებით მუშაობაში.

(მესამე ლეგიონი.)

მართალია სოფელში იყო უვადო შვებულებაში გაშვებული წითელ არმიელები, რომელნიც გვიხსნიდენ წითელი ჯარის ყოფა-ცხოვრებას, მაგრამ ჩვენ მათი რაღაც არა გვჯეროდა. წითელი არმიის რიგებში მოსვლის შემდეგ ჩვენს თვალწინ გადაიშალა სულ სხვა სურათი. დაწყებული წითელ არმიელიდან და გათავებული ლეგიონის თავით და სამხკომით ჩვენ ისე გვეპყრობიან, როგორც ჩვენი ახლო ამხანაგები, და გულმოდგინეთ მოჰკიდეს ხელი ჩვენზე ზრუნავს და ყოველგვარ მუშაობის გატარებას ჩვენთან.

ჩვენ შორის მყოფ წერა-კითხვის უცოდინარ წითელ არმიელებს ნაწილში მოსვლისთანავე დააწყებიეს წერა-კითხვის შესწავლა.

მცოდნე წითელ არმიელებთან ნორმალურად მიმდინარეობს პოლიტ-საათები და სამხედრო მეცადინეობა.

პოლიტ-ხელები სულ ჩვენთან არიან და გვიხსნიან ჩვენთვის გაუგებარ კითხვებს.

ნაწილში ჩვენთან უკვე დაარსებულია დრამატიული წრე და სამხკორთა წრეები.

უკანასკნელ წრეში ახალწვეულებს გვასწავლიან თუ როგორ და რაზე უნდა ვწეროთ გაზეთებში კორესპონდენციები და სხვა.

ამასთანავე ერთად ჩვენ გვასწავლიან თუ ვინ ვართ ჩვენ, რომელი წრიდან ვართ გამოსული, ვისი ინტერესები უნდა დავიცვათ, ვინ არიან ჩვენი მტრები და სხვა.

ასეთმა მუშაობამ ჩვენი უფროსებისამ დაგვავიწყა ჩვენი კერძო საკითხები, გაჰფანტა ჩვენში მოწყენილობა და ჩაგვაბა ჩვენც ნაწილის საერთო მუშაობაში.

ყველა ჩვენთაგანი ცდილობს არ დაჰკარგოს ტყუილად თავისუფალი დრო და მოანდომონ ასეთები წიგნებისა და გაზეთების კითხვას.

ახალწვეული კარტოზი.

# მუშაობა ცვალებადელთა შორის.

## ჩვენი მანევრები.

პირველი ლეგიონი.

30 ივნისს სიცხისაგან შეწუხებულ ახალწვეულებს მოენახათ ყაზარმის კედლების ძირში ჩრდილი და ისვენებდენ. 14 საათზედ ასეულმა მიიღო ბრძანება, რომ მას მონაწილეობა მიეღო მანევრებში ღამით.. დატრიალდა მეთაურები და შეუდგენ სამზადისს. ახალწვეულებმა კარგად არ იცოდენ ტაქტიკის და რაიმე ამოცანის შესრულება, ცხადია გაგვიჭირდებოდა. სამეცადინო ცხრილი შეიცვალა და ასეული საბრძოლო წესდების სწავლას შეუდგა.

22 საათზედ ახალწვეულები საბრძოლო წყობილებით გამოვიდენ ყაზარმიდან. შეუერთდით ბანაკად გასულ ლეგიონს. 23 საათზედ ვიწყეთ მოძრაობა სადგურ ნავთლუღის მიმართულებით.

ირგვლივ სამარისებური სიჩუმე... გზაში მივიღეთ ამოცანა. მისი შინაარსი ასეთი იყო: კახეთიდან მოდის მტერი (ლეგიონის სკოლა დაბრუნდა მანევრით ვაზიანიდან), რომელსაც სურს თფილისის აღება. ჩვენი მოვალეობა იყო დაგვეფარა ქალაქი.

ამოცანის მიღების შემდეგ ახალწვეულებისაგან შემდგარი ასეული გაემართა თავისი უბნის დასაკავებლად.

ჩვენი ასეული წარმოადგენდა ათასეულის რეზერვს. დავიკავეთ 263 სიმაღლის ფერდოები. საშინლად ცივა... უმაზარო წითელ-არმიელებს და მეთაურებს ძილი არ ეკარებათ. ერთმანეთს ჩახუტებიან და ხმა დაბლა ჩურჩულებენ. ოცეულის თავები ჩუმად საუბრობენ თავის ოცეულებში შეტევისა და მოგერიების ყარყოფით და დადებით მხარეებზედ.

სიცივემ უფრო იმატა. ლაპარაკი შესწყდა. რიჟრაჟის მოახლოებით დამფრთხალი ვარსკვლავები თანდათან ჰქრებოდენ ცის თაღზე... უეცრივ მთაზე შევნიშნეთ ცხენოსანი... ის ჩვენსკენ მოაქანებდა ცხენს...

— ასეთი დრო არის ხელსაყრელი ბრძოლისთვის—ამბობს ასის თავი.—მუდამ გათენებისას ვიწყებთ ბრძოლას და საღამოთი ვათავებთ, ვისვენებთ. ცხენოსანმა შიკრიკმა მოიტანა ბრძანება რეზერვის მიშველების შესახებ.

ახალწვეულებმა სირბილით აიარეს საკმაო დიდი აღმართი. მთას მოვექეცით წვერზე, საიდანაც ნათლად სჩანდა ლეგსკოლის კურსანტების მოახლოვება.

დაცულია გადარბენის ყოველი წესი... აი ცოტაც და... მოწინააღმდეგენი შეხვდენ ერთმანეთს. კურსანტებმა და წითელ-არმიელებმა ერთმანეთი ვერ იცნეს—და ხიშტით კვეთებაზედ უნდა გადასულიყვნენ, რომ ამ დროს კიდევაც გაისმა შეკრების ნიშანი.

მეომრები გამოერკვენ. მოაგონდათ, რომ მათ მანევრები ქონდათ. ასტყდა საერთო სიცილი და მხიარულება..

აქ ლეგთავი მიესალმა სკოლას. სკოლას ეტყობოდა, რომ ვაზიანში ენერგიულად ემეცადინა, მანევრობის გარჩევის შემდეგ ლეგთავმა აღნიშნა შემჩნეული დადებით და უარყოფით მხარეები და ლეგიონი მხიარული სიმღერით გაემართა კარვებისაკენ.

ახალწვეულები კი ამაყობდენ, რომ მათაც მიიღეს ძველ წითელ-არმიელებთან მონაწილეობა და უკვე შეუძლიათ საჭიროების დროს გვერდში ამოუდგენ მათ. შემდეგ ასეული გაემართა საზამთრო ყაზარმისაკენ.

სამხკორი შ. თელია.

## სამხკორთა შორის.

16 ივნისს პირველ ლეგიონში მოწვეულ იქნა ნაწილის სამხკორთა მორიგი კრება, რომელზედაც მოხსენება გააკეთა ამხ. კვინიკაძემ.

მომხსენებელი ვრცლად შეეხო აღნიშნული ნაწილის სამხკორთა ყოველდღიურ მუშაობას და წითელ არმიელთა ჩაბმას ამ მუშაობაში.

პირველ ხანებში სამხკორთა მუშაობა იყო სუსტი და ჰქონდა ბევრი დეფექტები. ამისი მიზეზი იყო წითელ არმიელთა მოუმზადებლობა, სამხკორთა მუშაობის არ ცოდნა. წითელ არმიელმა არ იცოდა როგორ და რაზე უნდა ეწერა გაზეთებში.

დღეს ყოველივე ეს ნაკლი გამოსწორებულია. უკანასკნელ ხანებში ადგილი აღარ აქვს არც სამხკორთა დევნას.

რაც დღე გადის, სამხკორთა მუშაობა ნაწილში თანდათან სათანადო სიმაღლეზე დგება და ბოლო ეღება ყოველგვარ გაუგებრობას.

დაბოლოს მომხსენებელმა მოუწოდა დამსწრეთ კიდევ უფრო გაეცხოველებიათ მუშაობა, როგორც „წითელ არმიელში", ისე ადგ. კედლის გაზეთებში.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა ხანგრძლივი კამათი. საკამათოდ გამოსული სამხკორები აღნიშნავდენ, თუ როგორ უყურადღებოთ სტოვებენ სამოქალაქო გაზეთების რედაქციები სამხკორთა გაგზავნილ წერილებს და სხ.

კრებამ დაადგინა მიმართონ ამის შესახებ სადაც ჯერ არს, რომ გამოსწორდეს ეს ნაკლი.

სამხკორი გ. ო—ია.

## თავის დროზე უნდა გვაცნობონ.

დიდი ხანია მას შემდეგ რაც გაზეთებში იწერება, რომ ორი თვითმოქმედი ორგანიზაცია „საჰაერო ფლოტი" და ქიმიური თავდაცვის" გაერთიანდენ და ეხლა მას ეწოდება „თვით ქიმია". ზოგ ნაწილებში ეს ორთავენი გაუერთიანებიათ და ზოგში კი ისევ ცალცალკე არსებობენ.

მაგალითად მესამე ლეგიონში ქიმიური უჯრედი ძლიერ სუსტია, სამაგიეროდ, „საჰაერო" ძლიერი. ჩვენ ვცდილობთ მათ გაერთიანებას მაგრამ საამისო საფუძველი არ გვაქვს. რატომ არ შეიძლება რომ ამას მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება და მოგვცენ საჭირო სახელმძღვანელოები თუ როგორ მოვიქცეთ და რა გავაკეთოდ. ჩვენი უმთავრესი ამოცანას დღეს შეადგენს „ავიო ქიმიის" გაძლიერება, ვინაიდან ამაშია მომავალი ომის გამარჯვება და ამის შესახებ არავითარი ცირკულიარი, არავითარი სახელმძღვანელო მისი ორგანიზაციული ჩამოყალიბებისათვის არა გვაქვს. ასეთი ცირკულიარები და სახელმძღვანელოები აქვთ „რემედასს" და „საჰაერო" უჯრედებს, მაგრამ ქიმიური უჯრედი მივიწყებულია.

საჭიროა საჩქაროთ მიექცეს ყურადღება ამ საქმეს.

სამხკორი ს. გეგია.

## ღამის სანიმუშო სროლებს წარმატებით ვაწარმოებთ.

**პირვ. საარტილერიო ლეგიონი.**

ამ ერთი კვირის წინად 1,2 და 3 ბატარეიები აწარმოებდენ ყუმბარების სანიმუშო სროლას ღამით, რამაც წარმატებით ჩაიარა.

საზოგადოთ არტილერიით ცეცხლის წარმოება არაა ადვილი, როგორც მაგალითად შაშხანა თოფიდან. ქვემეხიდან გასროლილი ერთი ჭურვიც კი დიდ პრაქტიკული გამოცდილებას უნდა აძლევდეს მასზე მომუშავე მეთაურსა და არმიელს, წინაამდეგ შემთხვევაში უბრალოდ, სულ ტყვილად იკარგება აუარება სიმდიდრე, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ თითეული ჭურვი 30-35 მანეთამდე ღირს, ხოლო თითეულ სროლაზე კი 60-70-ამდე იწვის.

ეს გარემოება კარგად ქონდათ შეგნებული ჩვენი ბატარეიების შემადგენლობას და იშვიათური დაკვირვებით და ცოდნით აწარმოებდენ სროლას. არც ერთი ჭურვი უბრალოდ არ დაკარგულა.

ამ სანიმუშო ვარჯიშმა დიდი გამოცდილება შესძინა ჩვენს წითელ არმიელებს.

ამ ახლო მომავალში გვექნება პირდაპირ დამიზნებაზე შეჯიბრი სროლაში.

დარწმუნებული ვართ ეს შეჯიბრიც კარგად დამთავრდება და მრავალ გამოცდილებათ შეგვძენს.

ამნაირად ჩვენ შევსძლებთ გავამართლოთ ის იმედები, რომელსაც ამყარებს ჩვენი მთავრობა ჩვენზე.

სამხედრო ს. ძიროვნელი.

## როგორ მიმდინარეობს ჩვენთან პოლიტ-საათები.

**მე-3-მე ლეგიონი.**

პოლიტ მეცადინეობა ჩვენს ლეგიონში კარგათ არის დაყენებული.

პოლიტ საათების ჩატარებაში ჩაბმულია ოცეულის მეთაურები, რომლებთანაც თავის მხრივ მიმდინარეობს ინსტრუქციული ხასიათის მეცადინეობა.

ამნაირად მათთვის ამის შემდეგ ადვილდება არმიელებთან პოლიტ საათების ჩატარება.

აქვე საჭიროა გამოვტყდეთ, რომ კომპლექსიური მეთოდით პოლიტ საათის წარმოება ჩვენთვის ძალიან ახალი ხილია. მასთან ერთად, მას ესჭირია სათანადოთ მომზადებული ხელმძღვანელები, რომ საგნის გადაცემა ისე მოაწყოს როგორც მეთოდი მოითხოვს. სამწუხაროდ ასეთები ჩვენ არა გვყავს.

ბევრჯერ ჩავატარეთ მეცადინეობა კომპლექსიური მეთოდით და ეხლაც ვსწავლობთ, თუ როგორ უნდა მიუდგეთ საკითხს, მაგრამ ამას მარტო ვკითხულობთ და როგორც საჭიროა ისე ვერ ვასრულებთ. ამის გამოცდილება ჩვენ არა გვაქვს. საჭიროა სათანადოთ გამოცდილი ხელმძღვანელი, რომელიც გვიჩვენებს მაგალითს და შემდეგ ჩვენც შევსძლებთ უფრო კარგად ჩავატაროთ ის.

მიუხედავად ამისა პოლიტ-საათი საერთოდ ნაყოფიერად ტარდება.

წითელ არმიელები ძალიან გულმოდგინეთ ეკიდებიან მეცადინეობას და კარგათაც ითვისებენ.

ეს ნაწილობრივად გამოწვეულია იმით, რომ მეცადინეობა ეხლა ტარდება ოცეულების და არა ასეულების ფარგლებში. მეცადინეობის ასეთი სისტემა მით არის ხელსაყრელი, რომ ხელმძღვანელს საშუალება ეძლევა გადაცემული გაკვეთილი გამოჰკითხოს ყველა წით. არმიელებს და გაიგოს თუ როგორ ითვისებენ ისინი.

კითხვა პასუხში ყველა იღებს მონაწილეობას, რაც კარგ შედეგებს იძლევა.

მეცადინეობის კიდევ უფრო გასანაყოფიერებლად საჭიროა ოცეულის მეთაურებს მიეცეთ სათანადო სახელმძღვანელოები, რომ სარბენათ არ ქონდეთ საქმე.

სამხედრო ჭკადუა.

## ნუ ამახინჯებთ ფორმას.

**მეთაურთა შემადგენლობის საყურადღებოდ.**

ხშირია შემთხვევა, რომ ჩვენი არმიის მეთაურთა შემადგენლობა, წინაამდეგ დაწესებული ფორმის ტანისამოსისა, იცვრავს ტანისამოსს როგორც მოეხასიათება, თავის გემოვნებაზე, მაგალითად, შემოღებულ ნახევარ-გალიფე შარვლისა და გვერდებზე გაკეთებულ ჯიბიან ხალათის მაგივრად იკერავენ ბრიჯის შარვლებს და გრძელ, მუხლებამდე ხალათს ზევიდან დაკერებულ ჯიბეებით.

დაწესებულ საზაფხულო ქუდების მაგივრად ატარებენ სხვა და სხვა სახისა და ფასონების ქუდებს: დაწყებული გერმანული და ინგლისური ფორმიდან და გათავებული მოქალაქეთა ქუდებით.

ტფილისში ხშირად შეხვდები მეთაურს მუხლამდე ხალათით, უზარმაზარი გალიფეთი და ბრიჯით (დამახასიათებელი მოვლენა!) და ქუდი უმეტესობას გერმანული ფორმისა აქვს.

საიდან-სადაო! აქ ხომ ოკუპაციის გავლენა არაა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ტფილისში 1918 წ. ვისგანაც ჯერარს სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს ყოველ გვარ გადახვევას არსებულ ფორმიდან, ვინაიდან ყველასათვის ცხადია, რომ არმიის გარეგანი სახეს, მით უფრო მის მეთაურთა შემადგენლობის, რომელიც მაგალითი უნდა იყოს წითელარმიელთა მასებისთვის, დიდი მნიშვნელობა აქვს.

სამხედრო პრ-ვი.

## ახკომკავშირელთა შორის.

1-ლ საარტილერიო ლეგიონში 27 ივნისს შესდგა ამავე ნაწილის ახკომკავშირის წევრთა გაერთიანებული ღია კრება, სადაც განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: 1. უპარტიო წითელ-არმიელების მიღება კომკავშირში და 2. ლეგ. კომკავშირის ორგანიზატორის მოხსენება თავის მუშაობაზე.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. მამალაძემ, რომელმაც დამსწრეთა გასაგებით ენით აღნიშნა, თუ რა სისტემით უნდა ხდებოდეს და ხდება უპარტიო ახალგაზრდების მიღება კომკავშირში და რამდენია საკანდიდატო სტაჟი სხვა და სხვა კატეგორიის ახალგაზრდებისათვის.

მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა ლეგიონის კომკავშირის ორგანიზატორმა ამხ. მამალაძემ. მომხსენებელი შეეხო ყველა იმ ღონისძიებებს, რომელიც მიღებული იყო კომკავშირის მუშაობის სათანადო დონეზე დასაყენებლად ლეგიონის ფარგლებში. ამასთანავე ის შეეხო იმ წინასწარი მუშაობის გატარებას, რომელიც საჭირო იყო საბანაკო მუშაობისათვის.

მუშაობის უფრო კარგ დონეზე დაყენება შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში თუ ჩვენი ნაწილის კომკავშირის ჯგუფები უფრო მეტ აქტივობას გამოიჩენენ.

კრების დასასრულს რამოდენიმე კომკავშირის წევრი მიმაგრებულ იქნა დაბალ საფეხურის სკოლებზე, რომელიც დაარსებულ იქნა ამ რამოდენიმე დღის წინად.

წ. არმიელი გრ. ბარათაშვილი.

## მოგვეცით სინათლე.

პირველი ლეგიონის მეორე ასეულის ფეხსადგილში კარგა ხანია, რაც სინათლე აღარ არის ღამით.

ამის შესახებ არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული გაზეთ „წითელ არმიელში“, მაგრამ მიუხედავად ამისა იქ მაინც ბნელა და შესვლა თითქმის შეუძლებელია.

საჭიროა ვისაც ეს ეხება მიაქციონ ყურადღება და გაგვინათონ ფეხისადგილი.

ახალწვეული კ. მინდიაშვილი.

## ამბები სოფლებიდან.

**საექიმო დახმარება სოფლებს.**

სამხ. ოსეთის ავტონომ. რესპუბლიკის ცაკმა გადასწყვიტა ოლქის სოფლებში მოაწყოს და გააფართოოს საექიმო პუნქტების ქსელი.

**ბრძოლა მიწის ყიდვა გაყიდვასთან.**

ოსეთის ცაკმა მისწერა ყველა თემაღმასკომებს განსაკუთრებული თვალყური ადევნონ იმას, რომ გლეხებს შორის სხვა და სხვა კომბინაციებით და მოხერხებებით არ იქნეს დაშვებული მიწის ყიდვა-გაყიდვა.

**ახალი სოფელი.**

ბორჩალოს მაზრაში, სოფ. ვარდისუბანიდან გადასახლებულმა გლეხებმა შუამდგომლობა აღძრეს სამ. აღმასკომის წინაშე, რომ მათ სოფელს ამიერიდან ეწოდოს სოფ. უკანაგორა.

**შუამთის აგარაკი.**

თელავის აღმასკომმა გადასწყვიტა მიიღოს ზომები შუამთის აგარაკზე წესიერების დაცვისა და მოაგარაკეთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ.

**ბანკის სააგენტო.**

შორაპნის აღმასკომმა უკვე გამონახა ქიათურაში შენობა, სადაც გახსნილი იქნება სახელმწიფო ბანკის ქუთაისის განყოფილების სააგენტო. სააგენტო უკვე ეწყობა.

## ახალი ამბები.

— **ცვალებად შემადგენლობაში.** კულტმუშაობის წარმოების მიზნით ნაწილებიდან გამოყოფილ იქნენ ეროვნულ უმცირესობათა ცალკე წრეები, რომლებშიაც მეცადინეობა სწარმოებს მათ სამშობლო ენაზე.

— **ქლექის სამდღიურის** განმავლობაში მთელ ქალაქში ყულაბებით იქნა შეგროვილი სამი ათასი მანეთი და 96 კაპ.

— **სახლების აგება.** ტფ. აღმასკომმა დაამტკიცა კეთილ-მოწყობის განყოფილების დადგენილება ნაძალადევში 120 ოთახიანი სახლის ასაგებათ.

— **სამტრედიაში** საზოგადო სამუშაოების მოსაწყობად შრომის სახალხო კომისარიატმა გადასდო 2 ათასი მანეთი.

— **სამგორის არხი.** ტფ. აღმასკომმა გადასწყვიტა მიიღოს მონაწილეობა სამგორის არხის გაყვანაში.

— **ხე-ტყის სახერხი ქარხნები.** უმაღლეს სამეურნეო საბჭოს განზრახული აქვს ააგოს რესპუბლიკის სხვა და სხვა ადგილებში სამი ახალი ხე-ტყის ქარხანა.

## აბა გამოიცანი?

**სახუმარო ამოცანა № 4.**

რიცხვებში ბევრი საკვირველებაა, ასეთებს ეკუთვნი[s]
სხვათა შორის ერთი რიცხვის აქ მოყვანილი თვისებაც.

მაგალითად: დამიწერეთ ისეთი სამ მნიშვნელოვანი რიცხვი, რომლის შუაზე გაყოფის შემდეგ, ამ ორი ნახევარი[s] ჯამი ორჯერ მეტი იყოს თითონ ამ რიცხვზე.

## მეცნიერება და ტეხნიკა

**უზარმაზარი პირამიდები მექსიკაში.**



ქვის თავები, რომლებიც აღმოჩენილი იქნენ კუნძულ აღმოსავლეთისაზე.

ფრანგული ჟურნალი „ჟე სე ტუ“ იუწყება, რომ სამეცნიერო ექსპედიციამ შალულის ახლოს მექსიკაში აღმოაჩინა უზარმაზარი პირამიდები, რომლებიც თავისი აგებულობით ძლიერ წააგავენ ეგვიპტის ცნობილ პირამიდებს, იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ ისინი გათლილი ქვებისაგან არ არიან აგებული, არამედ რიყის ქვებთან ნარევი დუღაბით და იშვიათური გამძლეობით ხასიათდებაიან. პირამიდების გარდა აქვე აღმოჩენილი იქნენ ტერასები, რომლებიც ძველი ტაძრების ფუძეებს უნდა წარმოადგენდენ. აქვე აღმოჩენილი იქნენ საღვთისმსახურო ადგილები, რომლებშიდაც მშვენივრად არიან დაცული ფანტასტიური ცხოველების გამოხატულებანი. ერთი პირამიდათაგანი აგებულია მზის პატივსაცემად, ხოლო მეორე კი მთვარის. ამ პირამიდების წვეროებზე იყო სამსხვერპლოები, სადაც ეწირებოდა მზესა და მთვარეს მსხვერპლები ადამიანის სახით.

ამ აღმოჩენამ საშუალება მისცა მეცნიერებს დარწმუნებულიყვენ ისტორიულ ხანამდ[ე] ძველი დროის ცივილიზაციი[ს] არსებობაში. ეს ძველი ძეგლე[ბი] ეკუთვნიან ე. წ. ტოლტე[კე]სტების ხალხს, რომლებიც იყ[ვ]ენ აცტეკების წინაპრები, რო[]მლებიც ამ ჟამად მექსიკის ერ[თ] უძველეს ხალხად ითვლება.

აცტეკების უკანასკნელი მ[ბ]ყრობელი წვალებით იქნა მოკ[ლ]ული ესპანელების მიერ 152[0] წელში.

**ცის სხეულების ბრუნვა.**

ჩვენი მზის სისტემის შემად[]გენელი ცის სხეულების ბრუნ[]ვა სწარმოებს მათი საერთ[ო] სიმძიმის ცენტრის *) გარშემო[]

სახელდობრ მექანიკის ას[ე]თი კანონით უნდა ხდებოდე[ს] თითეული სხეულის ან სხ[ე]ულთა ჯგუფის ბრუნვა, რომ[]ლებიც შეკავშირებული არია[ნ] ერთმანეთთან მიმზიდველობი[ს] კანონით.

ჩვენი მზე 700 ჯერ უფრ[ო] მძიმე მის სისტემაში შემავალ[] ერთად აღებულ ყველა ცდო[]მილებზე (პლანეტებზე). ამ[ი]ტომ მთელი მზის სისტემი[ს] სიმძიმის ცენტრი ე. [] მზისა და ცდომილებისა იმყო[]ფება მზის სფეროს შიგნით ს[ა]კუთრივ მზის ცენტრის ახლო[ს].

აი ამიტომ არის, რომ ყვე[]ლა ცდომილების ბრუნვა [] მათ შორის ჩვენი დედამიწისა[] ხდება მზის გარშემო.

*) სიმძიმის ცენტრი სხეულ[ში] ეწოდება იმ წერტს, რომელ[შ]იდაც თავს იყრის სხეულის მთელ[ი] სიმძიმე. თუ ეს წერტილი არ[ის] სხეულის საყრდენი წერტი, მაშ[ინ] ის როგორ მდგომარეობაშიც[] უნდა იყოს მაინც არ დაკარგა[ვს] წონასწორობას.

## ვის აქვს საწინაამდეგო?

1-ლ ცალკე მესანგრე ასეულ ს კომუჯრედში შემო[]ტანილი აქვთ განცხადება საქ. კომ. პარტ. კანდიდატი ამ[ხ.] არკადი სტურუასაგან, რომელიც თხოულობს პარტიის წე[v]რად გადარიცხვას. ამხ. სტურუა სამტრედიის მცხოვრებია.

თუ ვისმეს აქვს რაიმე საწინაამდეგო ამხ. სტურუას მ[ი]მართ, მისი პარტიის წევრად მიღებაზედ, გთხოვთ ერთი კვ[ი]რის განმავლობაში გვაცნობოთ შემდეგი მისამართით.

ცალკე მესანგრე ასეულის კომუჯრედში.

## ჩვენი ფოსტა.

ამხ. მ—ძეს. სწერეთ გარკვეულად და მელნით. ფანქრი[თ] დაწერილ წერილებს რედაქცია არ მიიღებს.

ამხ. მხვილიშვილს თქვენი კორესპონდენცია გადაეცა შეერთ[e]ბულ სკოლის სამხკომს.

ამხ. ქარცეცხლს ზემდეგს შეიძლება ზემდეგიც უწოდო [და] მამასახლისიც.

ამხ. ნავრუზაშვილს. კორესპონდენცია საგაუბიცო ბატარეი[ს] შესახებ არ გამოდგა.

ამხ. ცხ—ლის. თქვენი წერილი „ასეთებს ადგილი არ უნ[და] ქონდეს“ გადაეცა ცხენოსან ლეგიონის სამხკომს.

ამხ. ლოლომაძეს. კორესპონდენცია არტსკოლის ცხოვრება[ზე] არ გამოდგა.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

ნ. ფ. ს. ც. სამხედრო სტამბა ქიცხოველის ქ. № 3.